J 6563
J 2

[illegible]ნძის ომის ისტორიის

სიყალბე

რუსის გენერალ-ტოტლებენის ღალატის

სინამდვილე

ს. ჯიჯინაძისა.

ფასი ₰ მანეთი.

თ ბ ი ლ ი ს ი.
სტამბა ქალაქთა კავშირისა.
1920 წ.

ასპინძის ომის ისტორიის სიყალბე.

დღემდე ასპინძის ომის შესახებ ქართულს ისტორიულს მწერლობაში სულ ყალბის ცნობებით სწერდენ და ავრცელებდნენ ხალხში ასპინძის ომის მიზეზებს.

ასეთ სიყალბეს ვერ ასცდენ არა თუ ჩვენის დროის მეისტორიენი, არამედ ამ მრუდე გზას ვერ ასცდენ თვით XVIII საუკუნის ქართველნიც და თვით ასპინძის ომის თანამედროვე ქართველნი. ეს რომ ასეა, ამისთვის ორი მაგალითიც კმარა ჩვენთვის.

პირველი: თვით ასპინძის თანამედროვე მეისტორიებმა არ ანუსხეს ეს ომი სისწორით, იგინი დაადგნენ მრუდე გზას და ასპინძის ომში ტოტლებენის ღალატი სულ სხვა მრუდე გზით ახსნეს და არა რუსულის ბოროტის პოლიტიკით.

მეისტორიებმა ეს ბოროტება დასწამეს იმერლებს და იმერეთის მეფე სოლომონ დიდს, რაც სამარცხვინო უნდა იყოს ჩვენთვის და ჩვენის ისტორიისთვისაც. იმერლების ღალატის ვრცელება ქართლ-კახელებს ხელობათ აქვნდათ გამხდარი.

დაბრმავებულნი თვალს ვერ ახელდენ, ასპინძის ვინც უღალატა იმაზედ ხმა არ ამოიღეს და ეს ღალატი იმერლებს დასწამეს. ასევე იყო 1795 წელ-

საც. ამ ომში ვინც ულალატა ქართველებს, იმაზედ დაბრმავდენ, ხმა ვერ ამოიღეს და იმერლებს დასწამეს, რომ თბილისი იმერლებმა აიკლესო.

დაბრმავება იქნება, მაგრამ ასე კი არა. ტოტლებენის ღალატი იმერლებს და სოლომონ მეფეს მიტომ მოახვიეს თავზედ, რადგანაც ტოტლებენი ასპინძიდან რუსეთს გაუდგა იმერეთის გზით, ამან განვლო ახალციხე და ბაღდადის გზით იმერეთში ჩაიარა და იქ სოლომონ მეფეც ნახა და უამბო ეკატერინეს ამბავი. სოლომონ დიდს ეს გარემოება დიდათ ეწყინა, მალე ჯარი შეჰყარა და თვით მეფე სოლომონი აპირებდა ასპინძაზედ წასვლას და მეფე ერეკლეს შველას.

ეს განზრახვა იმერთა იმ გარემოებამ შეაჩერა, რადგანაც ცნობა მოვიდა მალე იმერეთში, რომ მეფე ერეკლემ ასპინძის ომში კოხტა ბელადი მოკლაო, ქართველებმა ოსმალნი დაამარცხეს სასტიკათაო. ამისთვის სოლომონ მეფემ და იმერთ ღმერთს ჰადლობა შესწირეს და დამშვიდდენ. ამ სიკეთის სამაგიეროთ, დაბრმავებულ და რუსთაგან შესყიდულ ქართველებმა ესეთი ბოროტება მოიგონეს.

იმერლებს და მათს მეფე სოლომონს მეფე ერეკლესი დიდათ ეშინოდათ. სოლომონ მეფე ფიქრობდა, რომ მეფე ერეკლემ ასპინძაში გაიმარჯვოს, მაშინ იგი ოსმალებს გააძევებსო და მის მერე მეც მომწვდება და იმერეთს წამართევსო.

ამიტომ იმერლებმა შეისყიდეს გენერალი ტოტლებენი და ამანაც მიტომ უღალატა მეფე ერეკლესა და ქართველებსაო. ეს არის მტკნარი სიცრუე და სიყალბე, მოგონებული განგებ, განსყიდულ ქართველთაგან, რომ ეგები ამით რუსებისაგან ჩადენილი ბოროტება მათ მძლავრათ დაეფარათ.

ეს ქმნეს კიდეც მათ, მათ დაფარეს ტოტლებენის ღალატი და ყველაფერი სიყალბეს მისცეს და მოკაზმეს, თუმცა ტოტლებენის ღალატი მაინც დარჩა ღალატათ და ამ ღალატის სწორმა ცნობებმა იპოვნეს თვისი მფარველნი და მომთხრობნი.

ეს გარემოება და ბოროტება იმერთა მეფე სოლომონმა და მთელმა იმერეთის ერმაც მალე შეიტყეს და ამიტომაც იყო, რომ ამ დღიდამ იმერთა რუსეთის ერთგულებას ალლო აართვეს და აღარაყერს ენდობოდნენ, მათი აღარასფერი სჯეროდათ, თვით იმ დღეებში, როცა ქართლ-კახეთი რუსეთს დაუკავშირდა, იმერნი უკმაყოფილონი დარჩნენ და ალატ. იოსელიანის სიტყვით იგინი იტყოდენ:

„ქართლელთა გასყიდეს ქვეყანა და აიღეს განასყიდელი და ეხლა ვითაარცა წყალ წაღებულნი ავს ეკიდებიანო“. ამავ გარემოებას ცხადათ ასაბუთებს ის პირობებიც, რომ იმერეთი რუსეთს თავის ებით არ დაუკავშირდა და სოლომონ იმერთა მეორე მეფემ ალექსანდრე პირველს ასეთი საპროტესტო პასუხი მისცა:

„იმერეთის სამეფოს მე რუსეთის იმპერიას არ ეკავშირებ, თუ მაინც და მაინც არ დაიშლით და ეს ქვეყანა თქვენ უსათუოდ უნდა წამართოთ ძალით, ეს თქვენ მოსამართლეობას არ ეკადრება, ვინაიდგან თქვენ ბრძანებთ, რომ მე ვარ ყველა დამჭირნეთა მფარველიო. თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ ჩვენი მფარველი უნდა ბრძანდებოდეთ და არა მდევნელი“. სწერს მეფე სოლომონი ალექსანდრე პირველს ასე: (აქტ. I ტომ.).

„მეფე ერეკლეს ოჯახი არის ჩემი ოჯახი, ვინაიდგან იგი იყო ჩემი პაპა. ამიტომ მისი შვილისგან ქვეყნის განცემა უსამართლობათ მიმაჩნია, მე თქვენის დახმარებით და 1783 ტრაქტატის ძალით ჩვენი დამხობილი ოჯახი უნდა აღვადგინო, საქართველოს მეფეთ მე უნდა ვიქნე ცნობილი თვით თქვენის დახმარებით“.

თუ ამას არ ისურვებთ და თქვენ მეფე გიორგის პირობას დაადგებით, მაშინ მე იმერეთს შემოგიერთებო 1783 წ. ტრაქტატის ძალით და არა თქვენის სურვილისამებრო“.

ასეთი ცნობების შემდეგ განა შეიძლება კიდევ ვინმემ რამე სთქვას ასპინძის ომში იმერთა ღალატის შესახებ, ანუ 1795 წ. ომში? ეს ყოვლად შეუძლებელია და გონებას მოუსვლელი. ამიტომ საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ასპინძის ომის ისტო-

რია ჩვენში სულ ყალბის ცნობებით არის ანუსხვ-
ლი და გავრცელებული.

ამ გარემოების შესახებ თავის დროს ჩვენ წე-
რილებიც დავწერეთ, მაგრამ იგი რუსის ცენზორი-
საგან მოსპობილ იქმნენ. მხოლოდ ამ ბოლო დროს,
რაც საქართველოს ელირსა მკვდრეთით აღდგენა,
ამის შემდეგ ასპინძის ომის მასალები ხელახლავ ავს-
წერე. ეხლა ყველა ამ მასალებს წიგნათა ვბეჭდავ.
აი ეს ამის მასალები:

მეფე ერეკლე და რუსის გენერალი ტოტლებენი.

საქართველოს დაპყრობის მადა პეტრე დიდს
აეშალა. მან ქართველებს ლოლიაობა დაუწყო. ისიც
კი მოახერხა, რომ ვახტანგ VI სულიერად დაიმე-
ცობრა. მერე ისიც მოხდა, რომ ვახტანგს სპარსეთი
აეშალა, სპარსნი ქართლზე საომრად წამოვიდნენ.
რა მოხდა ამ დროს? პეტრე დიდის მომხრე ქარ-
თველთა რჩევით უბედური ვახტანგი 3000 რჩეულის
თავად-აზნაურით 1724 წ. რუსეთში გადასახლდა და
მთელი ქართლი უპატრონოთ დასტოვა.

ვახტანგმა თავის ქართველებით პეტრე დიდს
ცოცხალს ვეღარ მოუსწრო. მაინც ქართველნი დაა-
სახლეს რუსეთის გუბერნიებში. ეს იყო პირველი
ხეხის დაცემა ქართლზე, 3000 რჩეულ ვაჟკაცთა

მოცილება თავიანთ ოჯახებით, ქონებით; საქმე ის გახლავსთ, რომ ვახტანგმა თან წაიღო 50 ჩარდახიანის ურმებით ქართველთა ძველი ნივთები ოქროსი, ვერცხლის, თვალმარგალიტები და ნაბეტურ ძველი ქართული წიგნიც კი. რადგანაც 3000 ქართველს ქართლის სამღვდელოებაც თან გაჰყვა, ამიტომ მთელი ქართლის საეკლესიო ძველი ნივთებიც კი გაზიდეს; პეტრე დიდის მოხერხებით მთელი ქართლი თითქმის გაცარცული იქმნა ვახტანგ მეფისაგან. ასეთი საქმე მოხდა, ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა უპატრონო ტფილისი 1724 წლამდე, მაგრამ პეტრე დიდმა მაინც საქართველო ვერ ჩაიგდო ხელში.

ვახტანგი წევიდა რუსეთის სამსახურში და ბოლოს გარდაიცვალა ასტრახანს 1737 წ. ასე უბედურად მოტყუვდა ვახტანგ მეექვსე. ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ვახტანგ მეექვსე იყო ძლიერი, გონიერი კაცი, მაგრამ პეტრე დიდის პოლიტიკამ მაინც გადიბირა. ასეთი მოტყუებით პეტრე დიდმა წადილი ვერ შეისრულა, ხოლო მისი განზრახვა კი დარჩა მის შთამომავალთ სახსოვრად და მერე ესენი განაგრძნობდენ პეტრე დიდის ნატვრის სისრულეში მოყვანას.

ამ ნატვრის შესრულებისთვის იგინი ბევრნაირ ოსტატობას ხმარობდნენ: მაგალითად, ქართველ მეფეებს და ბატონიშვილებს აძლევდნენ დიდ პატივისცემას, საჩუქრებს და ბევრსაც სხვა ძვირფას

ნივთებს. ასევე ელოლიავებოდნენ სხვა და სხვა ქართველ თავადიშვილებს, რომელნიც კი რუსეთში ჩავიდოდნენ ხოლმე რაიმე საქმის გამო. ამიტომაც მოხდა, რომ დღე და ღამე ქართველები მარტო რუსეთში მისვლა-მოსვლას უნდებოდნენ. რუსებმა მეტად დიდი გავლენა იქონიეს ქართველ სამღვდელოებაზე. ქართველი სამღვდელოება ადრიდგანვე მიეჩვია რუსეთში სამათხოვროდ ცხოვრებას; მართლაც ესენი რუსეთში შოულობდნენ დიდ დახმარებას, შოულობდნენ საეკლესიო ნივთებს, ხატებს, ფულს, შესამოსლებს და ბევრსაც სხვა ასეთებს, უმეტესად კი საეკლესიო ნივთებს, რითაც ქართველთა და რუსთა ერთ მორწმუნეობა უფრო იღებდა მტკიცე ხასიათს.

ასეთ სამსახურს გარდა, ქართველ ბერებს, არქიმანდრიტებს და ეპისკოპოსებს მოსკოვს, პეტერბურგს და სხვაგანაც ეკლესიებში აწირვინებდნენ ქართულად, შემოსავდნენ ძვირფასის შესამოსლით, მისცემდნენ დიდ საჩუქარს და მის მერე მათ ისტუმრებდნენ საქართველოში ნამეტურ იმორჩილებდნენ ქართველ ეპისკოპოსებს, რომელთაც ძვირფასის შესამოსავით ჰმოსავდნენ, რუსის მიტროპოლიტებს გვერდს უყენებდნენ და ქართულად აწირვინებდნენ. მერე ასეთს ეპისკოპოსებს დიდის პატივის ცემით ისტუმრებდნენ საქართველოში.

საქართველოში ჩამოსული ეპისკოპოსნი, არქი-

შანდრიტნი და მღვდელნი დღე და ღამ მის ცდაში იყ-ვნენ და ქადაგებდნენ მასზე, რომ რუსეთი საქრის-ტიანო ქვეყანაა, ჩვენი თანამორწმუნე და ამიტომ ჩვენი შეერთება უნდა მოხდეს აუცილებლათო. ასე-თი იყო გაიოზ ნაცვლიშვილი, ამბროს ნეკრესელი და ვარლამ ერისთავი, მერე პირველი ეკზარხი სა-ქართველოსი. რუსეთმა საქართველოში ასეთის ოს-ტატობით ერთობ კარგი მეგობრები გაიჩინა, კარ-გი ერთგულნი, ქართველთა კი მოღალატენი და მძარცველნი. მაგრამ შეერთება მაინც არ ხერხდე-ბოდა.

საქმე ისე მოეწყო, რომ 1760 წ. თეიმურაზ მეორე, მამა ერეკლე მეფისა, რუსეთში გადასახლდა. ეს მეფე მოსკოვში დიდის პატივით მიიღეს და ამის-თვის მარშიც კი შეადგინეს და საქართველოდამ მისვლის დროს მოსკოვში ამ ქართველ მეფეს მარ-შის დაკვრით მიეგებნენ; როცა ამან ვერ გასჭრა, ცოტა ხანს შემდეგ რუსეთის მთავრობა საქართვე-ლოს დასაჭერად სხვა ოსტატობას დაადგა.

1768 წ. საქართველოში გამოგზავნეს დიდის ჯარითა და საომარის იარაღით გენერალი ტოტლე-ბენი. ეს გენერალი მოვიდა ტფილისში მეფე ერე-კლეს კარზე. მეფეს მოუტანა ეკატერინე იმპერა-ტრიცას ძღვენი. გენერალ ტოტლებენთან იყვნენ მოწინავე პირნი რუსეთის სახელმწიფოსი, რომელ-ნიც წარუდგნენ მეფე ერეკლეს და ბევრი რამ მოა-

ხსენეს იმპერატრიცა ეკატერინეს შესახებ. უმთავ-
რესათ კი აი რას ავალებდნენ მეფე ერეკლეს.

ჩვენმა იმპერატრიცამ ეკატერინემ ოსმალეთს
ომი აუტეხა სლავიანთ ქრისტიანების გამო. ამიტომ
ჰოგმართა თქვენ და გთხოვთ, რომ ქრისტიანობის
პატივის საცემლათ ოსმალეთს თქვენც აქედან აუ-
ტეხოთ ომი, რათა მას საშუალება არ მიეცეს ამ
მხარიდან ჯარი წაიყვანოს იქით საომრად.

ასეთ დავალებასთან იყო ბევრიც სხვა დავალე-
ბანი და დაპირებანი. დაპირება ეხებოდა საქართვე-
ლოს სამეფოს მართველობას და ქართველ მეფესთან
მეგობრობას და სიყვარულს ურთიერთისადმი. მეფე
ერეკლემ, როგორც ქრისტიანმა მეფემ, და მასთა-
ნავემ რუსეთის ხელმწიფე ქალის დიდათ პატივის-
მცემელმა, ყოველივე დავალება სიამოვნებით მოის-
მინა, დავალების აღსრულება დაჰპირდა ტოტლებენს.
ამანაც მალე აცნობა თავის ხელმწიფეს, რომ ერე-
კლე მეფე თანახმა გახდა, რომ ომი აუტეხოს ოსმალეთს
აქედანაო.

ასპინძის ომის შესახებ ზეპირი ამბავი.

(ნაამბობი ღრმად მოხუცის ბოდკოვნიკის იოსებ ნაცვა-
ლიშვილის მიერ).

ეს ამბავი მე იოსებ ნაცვალიშვილმა მიამბო
1818 წ. მაშინ ეს მოხუცი იყო 85 წლის და მას-
ზან გახლდათ ქართველი მწიგნობარი, კარგი მამუ-

ლიშვილი, მეტად გულთბილი მოხუცი და მასთან დიდად მოყვარე საქართველოსი. ეს იყო ისეთი ქართველი მწიგნობარი, რომელსაც არც ერთი ისტორიული ამბავი არ გამოეპარებოდა წაუკითხავი. ჩემთან წიგნის მაღაზიაში თითქმის მუდამ დღე შემოდიოდა და იმის ლაპარაკი მუდამ საქართველოს ისტორიაზე იყო და იმაზე, თუ საქართველოს როგორ ჩაუვარდა რუსეთს ხელში. ერთხელ ასპინძის ომის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი და იმაზე, თუ გენერალმა ტოტლებენმა მეფე ერეკლე ნეტა რად მოატყუილა ისე, რომ ოსმალეთის სახელმწიფოსთან ომი ააშლევინა და მერე თვით უღალატა და უკან გაბრუნდაო?

მოხუცმა აი რა გვიამბო, რაიც აქ მომყავს სიტყვა სიტყვით:

„პაპაჩემს კარგათ მოვესწარ, პაპაჩემი მამაჩემზე უფრო გვიან გარდაიცვალა, იგი იყო ქართველი მწიგნობარი და საქართველოს ისტორიული წიგნების მკითხველი. მთელი ქვეყანა გაკვირვებული იყო იმაზე, თუ გენერალმა ტოტლებენმა რათ ჩაიდინა ასეთი ღალატი,—სთქვა პაპაჩემმა:

„გენერალმა ტოტლებენმა ასტეხა მეფე ერეკლე ოსმალეთის წინააღმდეგ. მეფე ერწმუნა გენერალს მით უფრო, რომ გენერალმა კარგა ბევრი ჯარი მოიყვანა თან, რომელსაც მეფე ერეკლესთან ომში მონაწილეობა უნდა მიეღო. ბევრი ლაპარაკი-

სა და კაცების გაგზავნა-გამოგზავნის შემდეგ, ქართველთა და ოსმალეთა ომიც გადაწყდა და ცნობილ იქმნა მთელ საქართველოში.

მეფე ერეკლემ მალე შეჰყარა ჯარი, მაშინ ჯარის რიცხვი იქნებოდა 30 ათასი და ეს რიცხვი იმ დროის კვალად იყო დიდი რიცხვი. მეც ამ ჯარში ვერიეო. ომში გაგზავნის დროს მეფე ერეკლემ ჯარს ასეთი სიტყვა უთხრა, რაც მეც მახსოვს კარგად:

„ჩვენმა მეზობელმა ეკატერინე ხელმწიფემ, ჩვენი სულის კეთილმორწმუნე დიდებულმა გვირგვინოსანმა მოგვმართა თავის ქრისტიანულ დავალებით და ოსმალეთის ომში ჩარევა გვთხოვა. ჩვენც, როგორც ერთგული მეზობელი მათი და მასთან დიდი მოიმედენი მათის მფარველობისა, განვიზრახეთ დავალების შესრულება და ქრისტიანობის პატივის საცემლად ომში ჩარევა. ეხლა ჩვენზეა საქმე, რომ ჩვენს მეზობელს ქრისტიან ხელმწიფეს ჩვენი ერთგულება ვაჩვენოთ და მათი მტერი ჩვენის მხრით დავამარცხოთ: იმედი მაქვს, რომ ყველა თქვენგანი ამ დავალებას პატივისცემით შეხვდება, რადგანაც რუსეთის ქრისტიან ერთა მტერი ოსმალეთი ჩვენი მტერიც არისო.

რამდენიმე დღის შემდეგ ქართველი ჯარი რუსის გენერალ ტოტლებენის ჯარით ოსმალეთისაკენ წავიდა; მეფის აზრი იყო, რომ ოსმალთათვის წაერთმია ახალციხე, მისი თემი, ახალქალაქი, ამისი თე-

მი და მერე აქედან აჭარას უნდა გადასულიყო. მეფე ერეკლემ ომის დაწყება ისურვა სოფ. ასპინძის ახლო ადგილებიდან. აღნიშნულს ადგილას მისვლის დროს, ომის წინა დღეს, მეფე ერეკლეს გენერალმა ტოტლებენმა აცნობა შემდეგი:

ჩვენი ხელმწიფე და ოსმალეთის სულთანი მორიგებულან, მე შიკრიკი მომივიდა, რომ ომში მონაწილეობა აღარ მივიღო და ამიტომ ჩემი ჯარი მე უკან უნდა გავაბრუნოო.

ამ ამბის გაგონებამ მეფეზე მეტად ცუდად იმოქმედა. ამ დროს მეფემ გენერალს დაუჩოქა, დაუწყო მუხლებზე კოცნა და ხვევნა, რომ ეხლა ღალატი არ იქნება, რაკი ოსმალნი მზად არიან; ნუ იქმთ ამას, თორემ უთქვენოთ მე ოსმალნი ქართველებს სულ დამიხოცვენო.

გენერალმა მაინც უარი უთხრა. მეფე ერეკლე კი მაინც განაგრძობდა თავის თხოვნას და ხვევნას. მეფე ერეკლეს ხვევნამ სამ საათს გასტანა, მაგრამ გენერალი მაინც სულ უარზე იდგა და წასასვლელად სამზადისს მიეცა.

მეფე ერეკლემ კიდევ მიმართა თხოვნით და ცრემლით ეხვეწა. მაშინ გენერალმა აი რა ჰქნა: უბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ამოიღო ერთი ქაღალდი და მეფეს უთხრა ასე:

— აი ამ ქაღალდზე დასწერე და ხელი მოაწერე, რომ შენ საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს

აძლევ და მე მხოლოდ მაშინ შემეძლება, რომ შე-
ვისმინო თქვენი ხოვნა და გიშველო, უამისოთ კი
მე ნება არა მაქვს თქვენი შველისა.

მეფე ერეკლემ მიუგო:

— მე ოსმალებთან სამტრო და საომარი რა
მქონდა? მე თქვენის გულისთვის ავემტერე და ეხ-
ლა მე თქვენ უარს მეუბნებით! ეს ხომ ღალატია
ჩემი და ქართველი ერის!

გენერალმა მაინც უარი უთხრა, არ ჰქნა, დავა-
ლება არ შეისმინა.

მეფემ გენერლის წინადადება ჯარს გადასცა,
ჯარს ეწყინა. ერთმა თავადიშვილმა მეფეს შეჰკივლა
ასე:

— ბატონო მეფევ, აბრძანდით, მაგ მამაძაღ...
ნუ ელაპარაკებით! ღვთით ჩვენ დავძლევთ ოსმალებს.

მეფე მალე ადგა ფეხზე და გენერალს გამოე-
სალმა. გენერალი წასასვლელად მოემზადა და მე-
ფეს კვალად ეწვია თავის წადილით, მაგრამ მეფემ
და ჯარმა არ ჰქმნეს, ამიტომ გენერალი თავის ჯა-
რით გზას გაუდგა.

მეფე შეწუხდა ამაზე და თან დარდს მიეცა
იმაზე, რომ გენერალმა სამშვიდობო გზა არ იცის
და ვაი თუ ოსმალოს ჯარს შეხვდეს და დაიღუპო-
სო, ამიტომ მეფემ გულკეთილობა გამოიჩინა და
კაცები გააყოლა გზის საჩვენებლად.

მერე ომიც მოხდა, ქართველებმა გაიმარჯვეს.

ომის შემდეგ მეფე ერეკლემ გენერალ ტოტლებენის ამბავი იმპერატრიცა ეკატერინას აცნობა, საქმე გამოირკვა, გენერალი გადააყენეს სამსახურიდანო.

საქართველოს დასაპყრობად პირველად მადა გაეხსნა რუსის იმპერატორ პეტრე დიდს. ამიტომაც ამ მეფემ მეგობრობა დაუწყო ვახტანგ მეექვსეს და ბოლოს ეს მეფე 3000 ქართველის კარგის მხედრებით, ბევრის ძველებური ნივთებით და იარაღით რუსეთში გადასახლდა 3000 ქართველს თან გაჰყვა ოცი მღვდელი, 12 დეკანოზი, 5 არქიმანდრიტი და 4 ეპისკოპოსი, ასევე ამათი მსახურნი, ყველა ამათ თან წაიღეს ასი ურემი სულ ძველი ქართული ნივთები, ძველი წიგნები. პერგამენტზე ნაწერებიც. ვახტანგ მეფის წასვლა რუსეთს სპარსეთის ყეინმაც შეიტყო. შემოესია ქართლსა და სასტიკად აიკლო, რომ თქვენი მეფე რუსეთში გაიპარა თავის დიდებულებითაო. ვახტანგ მეფე რუსეთში წავიდა, მაგრამ პეტრე დიდი ცოცხალი აღარ დახვდა. მისმა ცოლმა მიიღო ვახტანგ მეფე და მისი ქართველობა და რუსეთის გუბერნიებში დაასახლა. ეს ამოდენა ქართველობა სულ რუსეთში დარჩა და ისინი გადაგვარდენ სადღეისოთ. ვახტანგი ასტრახანში მოიცვალა 1737 წელს.

ამიტომ ვერ იქნა და რუსეთმა საქართველო ხელში ვერ ჩაიგდო. მართალია პეტრე დიდმა ვერ შეისრულა წადილი, მისი სურვილის შესრულებას მისი მემკვიდრეები შეუდგენ და პეტრე დიდის შემ-

დეგ ასეთ პირათ აღმოჩნდა იმპერატორი ქალი ელიზაბედი.

ელისაბედმა დიდი მეგობრობა გაუმართა თეიმურაზ მეფეს და ბოლოს ეს მეფე რუსეთშიც მიიწვია, ეს იყო 1760 წ. თეიმურაზი წავიდა რუსეთში. ის დიდის პატივით მიიღო ელისაბედმა და იგი თავის სასახლეში დაასახლა, მაგრამ ამ მეფემ იქ დიდხანს ვერ გასძლო და 1761 წ. გარდაიცვალა. ამიტომ არ იქნა და რუსებს არ ეშველათ, საქართველო ვერ ჩაიგდეს ხელში. ელისაბედის შემდეგ რუსეთის ტახტზე გამეფდა ეკატერინე მეორე.

ამან კარგად გაიცნო საქართველოს სამეფოს ღირსება და უფრო განიზრახა საქართველოს ხელში ჩაგდება, ამიტომაც ამ ქალმა ერეკლე მეფეს მალე მომართა მეგობრობისთვის, გაცნობის უმალვე მომართა მეფე ერეკლეს და დაუწყო მეგობრობა, საჩუქრების გამოგზავნა და სხვაც ბევრი ასეთი. ბოლოს საქმე ისე მოაწყო, რომ ერეკლე მეფის კარზე გამოგზავნა თავისი გენერალი გრაფი ტოტლებენი.

ტოტლებენი მოვიდა, საქართველოში მან გადასცა ეკატერინეს მოკითხვა, ძღვენი და დავალება მისი, რომ საქართველოს მხრით ოსმალეთს ომი აუტეხეო, იქნება მაქედან ჯარი არ გამოიყვანოს აქეთო, რადგანაც ჩვენ მასთან ომს ვიწყებთო.

გენერალმა მეფე აიყოლია. მართლაც ერეკლე მეფემ ჯარი შეჰყარა და გენერალ ტოტლებენით

ოსმალეთისკენ გაემგზავრა საომრად, ომი უნდა წყოთ სოფელ ასპინძასთან ჯავახეთში, ამ დროს რუსის გენერალი უკან დადგა თავის ჯარით და ერეკლე მეფეს მოახსენა:

ჩვენი ხელმწიფისგან შიკრიკი მოვიდა და შემდეგი ცნობა მომიტანა: ჩვენ და ოსმალეთი მოვრიგდით. შენ ომში აღარ ჩაერიო და შენის ჯარით უკან დაბრუნდი.

ამაზე მეფე ერეკლე დიდად შესწუხდა და გენერალს დაუწყო ლაპარაკი ასე:

— ოსმალებთან მე რა მქონდა სადავო და სამტრო, თქვენ ამტეხეთ, ომი დამაწყებინეთ და ეხლა გასაჭირის დროს უარს მეუბნებით, ეს ხომ ჩემი მოტყუილება არის.

გენერალი მაინც უარზე ადგა და მეფეს ეუბნიბოდა:

— ეგ ყველა მართალია, მაგრამ მე ჩემის ხელმწიფის ბრძანება უნდა შევასრულო, უნდა წავიდე. მეფე ერეკლე დაღონდა დიდათ და კვალათ ხვეწნა დაუწყო.

ამ დროს ტოტლებენმა უბიდან ქაღალდი ამოიღო და მეფეს უთხრა ასე:

— აი ქაღალდი, ამაზე [illegible] რომ თქვენ საქართველოს რუსეთს [illegible] ითუბთ და [illegible] მაშინ გიშველით.

89